ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 168/ξ

თბილისი „31" „მარტი" 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე "მარინე ფიფია" (შემდგომში - „მიმწოდებელი").

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო" – სათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) წალენჯიხის ბავშვთა სახლის საჭიროებისათვის საკვები პროდუქტების (ობიექტის ერთგვაროვნება 15300000 -ხილი, ბოსტნეული, და მონათესავე პროდუქტები, 15400000 - ცხოველური ან მცენარეული ზეთები და ცხიმები, 15600000 - დაფქული მარცვლეულის პროდუქტები, სახამებელი და სახამებლის პროდუქტები, 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტები, 03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 1534,30 (ათას ხუთას ოცდათოთხმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის სახეობები, რაოდენობა, მახასიათებლები, ერთეულისა და საერთო ფასები წარმოდგენილია ხელშეკრულების დანართ N1–ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 2 მაისის ჩათვლით, ხელშეკრულების დანართი #1–ით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით, წალენჯიხის ბავშვთა სახლის მის: წალენჯიხა, წმინდა ნინოს ქ. N 62

4.3. საქონლის ტრანსპორტირებას მიწოდების ადგილამდე უზრუნველყოფს „მიმწოდებელი" საკუთარი ხარჯით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარებას განახორციელებს ხელშეკრულების 15.3. პუნქტით გათვალისწინებული კოორდინატორი.

5.3. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტებს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა(ებ)ს, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით მოთხოვნებს, სასაქონლო ზედნადებებს და ინსპექტირების დასკვნებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების 15.3. პუნქტით გათვალისწინებული კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნების, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის, ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული წერილობით მოთხოვნების, სასაქონლო ზედნადებებ(ებ)ისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურ(ებ)ის წარმოდგენის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
6.4. შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლის დაფინანსებას 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები:
7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 დღისა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1.სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის
ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს
„შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

15.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. საქონლის მიწოდების წინამდებარე ხელსეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხისა და ვარგისიანობის კონტროლი ხელშეკრულების დანართი #1–ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

15.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დირექტორის 2011 წლის 3 იანვრის N5/1 ბრძანებით განსაზღვრული პირი.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 მაისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი _ „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი“	"მიმწოდებელი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"	ინდ.მეწარმე "მარინე ფიფია"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144	წალენჯიხა, მებონიას ქ. #2
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს "ლიბერთი ბანკი"
კოდი № TRESGE22	წალენჯიხის ფილიალი
ა/ა № 200122900	კოდი № LBRTGE22
ს/კ № 202465153	ა/ა №GE31LB0112134211214000
	ს/კ N51001000305
თამარ მახარაშვილი	მარინე ფიფია
დირექტორი	ინდ.მეწარმე

#	დასახელება და მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება	მიწოდების პირობები
1	კარტოფილი (ტუბერი, გაურეცხავი, 4 სმ დიამეტრის არაუმეტეს 10%–ისა დანარჩენი უფრო დიდი, ხარისხიანი.)	კგ	165	1.50	247.50	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 მაისის ჩათვლით თვეში ორჯერ
2	ხახვი(მშრალი, მთლიანი, ყინჭი არაუმეტეს 3 სმ, 3–4 სმ დიამეტრის არაუმეტეს 15 %–ისა.)	კგ	30	2.00	60,00	
3	სტაფილო (არაუმეტეს 10% 15 სმ სიგრძის, დანარჩენი უფრო დიდი)	კგ	30	2.00	60,00	
4	ჭარხალი (წითელი, ნაკლებადძარღვიანი, 5–15 სმ დიამეტრის.)	კგ	20	2.00	40.00	
5	კომბოსტო (ღეროებდაჭრილი, მოუყინავი, დაზიანებული ფოთლების გარეშე, თითო თავის წონა 700–1500 გრამი.)	კგ	65	1.30	84.50	
6	ნიორი (4სმ–იანი არაუმეტეს 10%–ისა დანარჩენი უფრო დიდი)	კგ	3	10.00	30.00	
7	ვაშლი (მაღალი ხარისხის)	კგ	30	3.50	105.00	
8	ბრინჯი (მაღალი ხარისხის)	კგ	33	2.00	66.00	
9	წიწიბურა	კგ	16	4.50	72.00	
10	ლობიო	კგ	25	3.00	75.00	
11	მაიონეზი	კგ	2.5	4.50	11.25	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 აპრილის ჩათვლით ერთხელ
12	ვაფლი	კგ	6.5	4.50	29.25	
13	ხილის კანფეტი	კგ	10	4.50	45.00	
14	მაკარონი (მაღალი ხარისხის)	კგ	20	1.80	36.00	
15	ვერმიშელი (მაღალი ხარისხის)	კგ	20	1.80	36.00	

16	შაქარი	კგ	55	2.60	143.00	
17	მარილი	კგ	20	0.70	14.00	
18	შავი ჩაი	კგ	1.5	7.00	10.50	
19	კაკაო	კგ	1.5	14.00	21.00	
20	საკმაზ–სანელებლები	კგ	2	9.00	18.00	
21	ტყემლის საწებელი	ლ	13	3.00	39.00	
22	ნიახური (მაღალი ხარისხის, სუფთა, მოუყინავი.)	კგ	2	5.00	10.00	
23	ოხრახუში (მაღალი ხარისხის, სუფთა, მოუყინავი.)	კგ	5	5.00	25.00	
24	კამა (მაღალი ხარისხის, სუფთა, მოუყინავი.)	კგ	0.5	5.00	2.50	
25	ქინძი (მაღალი ხარისხის, სუფთა, მოუყინავი.)	კგ	5	5.00	25.00	
26	ხორბლის ფქვილი (თეთრი,I ხარისხის)	კგ	4	1.50	6.00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 აპრილის ჩათვლით
27	მანანის ბურღული (მაღალი ხარისხის)	კგ	8	2.00	16.00	
28	ტომატ–პასტა	კგ	16	4.80	76.80	
29	უალკოჰოლო, გაზიანი გამაგრილებელი სასმელი	ლიტრი	20	1.20	24.00	
30	ხილის ნატურალური წვენი	ლიტრი	15	2.30	34.50	
31	ზეთი (მცენარეული)	ლიტრი	16	4.00	64.00	
32	ბარდა (კონსერვირებული)	კგ	2.5	3.00	7.50	
	სულ ჯამი:				1534.30 ლარი	

„შემსყიდველი“
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“

დირექტორი
თამარ მახარაშვილი

„მიმწოდებელი“
ი/მ „მარინე ფიფია“

ინდ. მეწარმე
მარინე ფიფია